**დამფინანსებელი ორგანიზაცია:** Hespreset 2009-2012;

რეგიონალური გრანტი, რომელიც ითვალისწინებს ისტორიის დარგის რეფორმაციას კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით და კურიკულუმის განვითარებას დასავლური სტანდარტებით.

**პროექტის მონაწილეები:** ეკა ავალიანი, ჯონ ბეინსი, ჯეკ საზონი, დევიდ ოუენი, ანგუს ბოვი, გოჩა ცეცხლაძე.

---

**პროექტი "მათესა და მარკოზის სახარებების ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტი – ოთხთავის ქართული თარგმანის შემცველი ხელნაწერების კატალოგი"**

დამფინანსებელი ორგანიზაცია – INTAS Foundation
ეს არის ვრცელი და ფართომასშტაბიანი პროექტი, რომელიც, ერთი მხრივ, გულისხმობს მათესა და მარკოზის სახარებების ქართული თარგმანების შესწავლას, კრიტიკული ტექსტების დადგენასა და გამოცემას, ხოლო, მეორე მხრივ, ოთხთავის ქართული თარგმანის შემცველი ხელნაწერების კატალოგის შედგენასა და გამოცემას. შედეგად აღიწერება და გადამუშავდება მათესა და მარკოზის სახარებების თითქმის ყველა ხელნაწერი და მათი აღწერილობა, რაც დაეხმარება როგორც ქართველ, ისე უცხოელ მკვლევარებს.
პროექტში მონაწილეობას იღებენ როგორც გერმანიისა და საფრანგეთის მხარეები, ისე ქართული მხარე, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია "ორიონი".

**პროექტის მონაწილეები:** სოფიო სარჯველაძე, დარეჯან თვალთვაძე, მანანა მაჩხანელი, ელგუჯა გიუნაშვილი, გიული შაბაშვილი, მარინა ოდიკაძე.

---

**პროექტი "ინტერდისციპლინარული გამოკვლევები ფარავნის ტბაზე"**



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერდისციპლინარულმა ექსპედი¬ციამ ჩაატარა წყალქვეშა არქელოგიური სამუშაოები წინა წლებში ტბის ფსკერზე მიკვლეული ქვის კონსტრუქციის შესასწავლად (პროექტი "ინტერდისციპლინარული გამოკვლევები ფარავნის ტბაზე"). დაიწყო კონსტრუქციის აღმოსავლეთი ნაწილის სამკუთხა სექტორის ამოღება და საბაზისო მონაცემების შეგროვება არქეოლოგიური პროცესების კომპიუტერული მოდელირებისათვის. ტბის ფსკერზე აღმოჩენილია XVI-XVII საუკუნეების მთლიანი ქოთანი და ძვ.წ. I ათასწლეულის მოხატული დოქი.

**პროექტის მონაწილეები:** ვახტანგ ლიჩელი

**პროექტის სახელწოდება: ძველი ქართული ბიბლიური ტექსტებისა და მათი კომენტარების ლინგვისტურ–ტექსტოლოგიური ანალიზი და გამოსაცემად მომზადება**

**დამფინანსებელი ორგანიზაცია:** საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
პროექტის განხორციელების ვადები: 2006–2009
პროექტის მოკლე აღწერილობა: განათლების რეფორმის ფარგლებში, სასწავლო ახალი კურუკულუმის გადახალისების მიზნით , პროექტის ფარგლებში განხორციელდა ახალი მიმართულების, ”ბიბლეისტიკის” დანერგვა საუნივერსიტეტო დონეზე.მომზადდა ლექციების კურსი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურისათვის.გამოიცემა დარგში სამეცნიერო ჟურნალი. მუშაობს სამეცნიერო და სასწავლო ცენტრი.

**პროექტის მონაწილეები:** სოფიო სარჯველაძე, მანანა მაჩხანელი, ლელა ნიჟარაძე, მარინა ოდიკაძე

---

**პროექტის სახელწოდება: ამერიკულ-ქართული ბიბლიისტიკის კვლევის ცენტრი**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: ღია საზოგადოების ინსტიტუტი (ნიუ-იორკის ოფისი)
პროექტის განხორციელების ვადები: 2001-2003
პროექტის მოკლე აღწერილობა: განათლების რეფორმის ფარგლებში, სასწავლო ახალი კურუკულუმის გადახალისების მიზნით , პროექტის ფარგლებში განხორციელდა ახალი მიმართულების, ”ბიბლეისტიკის” დანერგვა საუნივერსიტეტო დონეზე.მომზადდა ლექციების კურსი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურისათვის.გამოიცემა დარგში სამეცნიერო ჟურნალი. მუშაობს სამეცნიერო და სასწავლო ცენტრი.
**პროექტის მონაწილეები:** ეკატერინე ავალიანი

---

**პროექტის სახელწოდება: "არმაზი."**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: Volkswagen Foundation
პროექტის განხორციელების ვადები: 1999-2002
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტის ფარგლებში განხორციელდა ძველი და საშუალი ქართული სალიტერატურო ძეგლების დიგიტალიზაცია (მანქანური დამუშავება), მიღებული ბაზის საფუძველზე მკვლევრისათვის საინტერესო ტექსტური ერთეულების საძიებელი პროგრამის შექმნა. ეს ხელს უწყობს როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერებს საჭირო და საინტერესო მასალის მოპოვებაში.

---

**პროექტის სახელწოდება: "შავი ზღვა. ურთიერთობების ისტორია."**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: ევროსაბჭო
პროექტის განხორციელების ვადები: 2000წ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: ევროპის საბჭოს ეგიდით გამოსული ეს ინტერკულტურული სახელმღვანელო შავი ზღვის აუზის ქვეყნების სინქრონული ისტორიის პრეზენტაციაა საინტეგრაციო პროცესების მკაფიო ფიქსაციით. კრებულში ნაჩვენებია საქართველოს როლი შავი ზღვის აუზის ქვეყნების კულტურის ჩამოყალიბებაში.

**პროექტის მონაწილეები:** თედო დუნდუა

---

**პროექტის სახელწოდება: "Palimpsest" კავკასიური წარმოშობის პალიმფსესტები**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: Volkswagen Foundation
პროექტის განხორციელების ვადები: 2004-2007
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტი გულისხმობს ქართული და ალბანური პალიმფსესტების შესწავლას, დიგიტალიზაციასა და გამოცემას.

**პროექტის მონაწილეები:** სოფიო სარჯველაძე, დარეჯან თვალთვაძე, მანანა მაჩხანელი, ელგუჯა გიუნაშვილი

---

**პროექტის სახელწოდება: "Marc Multilingue" (“SHS 2004 Marc” ACI)**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: საფრანგეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის განხორციელების ვადები: 2005-2007წ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტი გულისხმობს მარკოზის სახარების ბერძნული და მისი უადრესი თარგმანების (ლათინური, სირიული, არამეული, კოპტური, ქართული, არაბული და სხვა) ტექსტების შესწავლასა და გამოცემას.

**პროექტის მონაწილეები:** სოფიო სარჯველაძე, დარეჯან თვალთვაძე, მანანა მაჩხანელი

---

**პროექტის სახელწოდება: "ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში"**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: Volkwagen Foundation
პროექტის განხორციელების ვადები: 2006-2009
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტის ფარგლებში ხორციელდება საქართველოში გავრცელებული ენებისა და დიალექტების ენობრივი მასალის ჩაწერა და დამუშავება, შესაბამისად, თანამედროვე საქართველოში ენობრივი სიტუაციის გამოკვლევა.

**პროექტის მონაწილეები:** ვახტანგ იმნაიშვილი, რევაზ აბაშია, ნინო შარაშენიძე

---

**პროექტის სახელწოდება: "ჯ.ს. მილის "თავისუფლების შესახებ" და "უტილიტარიზმი."**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველო"
პროექტის განხორციელების ვადები: 2006 – 2007წწ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტი მიზნად ისახავს ქართულ ენაზე კლასიკური ფილოსოფიური ნაშრომის თარგმნას, რაც ხელს შეუწყობს ქართველ სტუდენტებსა და საკითხით დაინტერესებულ პირებს შესაბამისი ცოდნის გაღრმავებაში.

**პროექტის მონაწილეები:** ლერი მჭედლიშვილი, თამარ ცხადაძე

---

**პროექტის სახელწოდება: "ადამიანთა პასუხისმგებლობის ქარტია"**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: ფ. მატიუსის საერთაშორისო ფონდი
პროექტის განხორციელების ვადები: 2006-2007
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტი გულისხმობს პასუხისმგებლობათა ქარტიის ქართული ვერსიის მომზადებას, გამოცემას, გავრცელებას და აღნიშნულ თემაზე თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაზაზე საერთაშორისო სიმპოზიუმის გამართვას.

**პროექტის მონაწილეები:** ანასტასია ზაქარიაძე

---

**პროექტის სახელწოდება: "უცნობი საქართველო"**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: DAAD
პროექტის განხორციელების ვადები: 2007წ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტი მიზნად ისახავს ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი გერმანული წყაროებისა და საისტორიო ლიტერატურის მოძიებას, კვლევასა და საბოლოოდ ქართულ ენაზე სტატიებისა და წიგნის სახით გამოცემას.

**პროექტის მონაწილეები:** დალი კანდელაკი

---

**პროექტის სახელწოდება: "ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები"**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: Tempus-Erasmus Mundus
პროექტის განხორციელების ვადები: 2007
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტის მიზანია შედარებითი და ტიპოლოგიური ენათმეცნიერების დარგში სალექციო კურსებისთვის სახელმღვანელოს მომზადება.

**პროექტის მონაწილეები:** ირინე მელიქიშვილი

---

**პროექტის სახელწოდება: "საქართველო XVII-XIX სს. დასავლეთევროპულ სამოგზაურო ლიტერატურაში."**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: ჰერცოგ აუგუსტ ბიბლიოთეკა, გერმანია
პროექტის განხორციელების ვადები: 2007წ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტის მიზანია გერმანულენოვანი სამოგზაურო ლიტერატურის მოძიება და დამუშავება, მოძიებული მასალის ფოლკლორისტულ-ეთნოლოგიური კვლევა, სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება.

**პროექტის მონაწილეები:** ელენე გოგიაშვილი

**პროექტის სახელწოდება: "ებრაული კულტურისა და იუდაიკის კაბინეტი"**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტის, "ჯოინთის", ფილიალი საქართველოში
პროექტის განხორციელების ვადები: 2007წ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტის მიზანია ქართველ ებრაელებთან დაკავშირებით საქართველოს არქივებსა და ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებული მასალების მოპოვება და გზამკვლევის გამოცემა.

**პროექტის მონაწილეები:** გურამ ლორთქიფანიძე

---

**პროექტის სახელწოდება: კრებული "ამერიკის შესწავლის საკითხები", V.**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: აშშ-ის საელჩო
პროექტის განხორციელების ვადები: 2007წ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტი მიზნად ისახავს ყველა სფეროში აშშ-ის გამოცდილების შესწავლას; ქართველი, ამერიკელი და ევროპელი მკვლევარების სამეცნიერო სტატიების ყოველწლიური კრებულის V ტომის გამოცემას; ამერიკამცოდნეობის განვითარებას საქართველოში.

**პროექტის მონაწილეები:** ელენე მეძმარიაშვილი

---

**პროექტის სახელწოდება: ამერიკანისტთა ყოველწლიური IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ამერიკულ-ქართული ურთიერთობები: წარსული და თანამედროვეობა"**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: აშშ-ის საელჩო
პროექტის განხორციელების ვადები: 2007წ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტი გულისხმობს ქართულ-ამერიკული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მომზადებასა და ჩატარებას ქართველი და ამერიკელი მეცნიერების, ასევე სტუდენტების მონაწილეობით. ამერიკამცოდნეობის განვითარებას საქართველოში.

**პროექტის მონაწილეები:** ელენე მეძმარიაშვილი

---

**პროექტის სახელწოდება: ლოგიკის ფილოსოფიური პრობლემები**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
პროექტის განხორციელების ვადები: 2006–2007წწ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტის მიზანია ლოგიკის ფილოსოფიის ზოგადი ამოცანებიდან გენერირებული რამდენიმე კონკრეტული პრობლემის ანალიზი და მათ გადასაჭრელად ახალი კონცეფციების შემოთავაზება. ეს პრობლემებია: 1) ყოვლისმცოდნეობის პარადოქსები ეპისტემიკურ ლოგიკაში, 2) ლოგიკის კოჰერენტისტული დაფუძნება, 3) მატერიალური იმპლიკაციის პარადოქსები კლასიკურ (ორფასა) ლოგიკაში, 4) კატეგორიული სილოგიზმების არაკლასიკური (კერძოდ, სამფასა) ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.

**პროექტის მონაწილეები:** მჭედლიშვილი ლერი, ცხადაძე თამარ

---

**პროექტის სახელწოდება: "საბჭოთა ნარატივი, თანამედროვე კვლევები."**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: იაპონიის მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი ორგანიზაცია (JSPS)
პროექტის განხორციელების ვადები: 2007-2008წწ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: სამუშაოები ხორციელდება საერთაშორისო პროექტის ფარგლებში – "სიმბოლოთა პროფანაცია – კომუნიკაციის ფორმა საბჭოთა ნარატივის კონტექსტში".

**პროექტის მონაწილეები:** ირმა რატიანი

---

**პროექტის სახელწოდება: "ბასკურ-ქართული შეპირისპირებითი მორფოლოგია."**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: ბასკეთის უნივერსიტეტი
პროექტის განხორციელების ვადები: 2007წ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტის მონაწილეებს მიზნად აქვთ დასახული ქართულ-ბასკური შეპირისპირებითი მორფოლოგიის შექმნა. ეს გახლავთ ამ ტიპის პირველი ერთობლივი პროექტი, რომელსაც ბასკეთის უნივერსიტეტი აფინანსებს და 17 მაისიდან 2 თვის განმავლობაში ბასკეთის უნივერსიტეტის პროფესორი, ხუან კარლოს ოდრიოზოლა პერიერა, იმუშავებს საქართველოში.
ამ ეტაპზე კვლევის ძირითადი პარამეტრები გამოკვეთილია და შედგენილია დეტალური სამუშაო გეგმა. პროექტის ფარგლებში ხუან კარლოს ოდრიოზოლა პერიერა სწავლობს ქართულ ენას.

**პროექტის მონაწილეები:** თამარ მახარობლიძე

---

**პროექტის სახელწოდება: ქართული ენის თვითმასწავლებელი თურქულენოვანი მოსახლეობისათვის; ქართული ენის თვითმასწავლებელი სომხურენოვანი მოსახლეობისათვის**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველო"
პროექტის განხორციელების ვადები: 2003-2006 წ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: წიგნის ავტორებმა მიზნად დაისახეს ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის დახმარება გაეწიათ ქართული ენის შესწავლის საქმეში. წიგნი შედგენილია თემატური პრინციპით და ითვალისწინებს ყველა ძირითად სამეტყველო სიტუაციას, რომლებთან შეხებაც ადამიანს ყოველდღიურ ცხოვრებაში უხდება. ყველა თან ახლავს იმ გრამატიკულ კონსტრუქციათა მარტივი ანალიზი კონკრეტულ თემატურ ერთეულთან მიმართებით. წიგნში შესულია მრავალფეროვანი სიტუაციური ტექსტები და დიალოგები.
გამოცემებს ახლავს ქართულ-თურქული და ქართულ-სომხური მოკლე ლექსიკონები.
წიგნები უფასოდ დაურიგდა შესაბამისი რეგიონების მოსახლეობას.

**პროექტის მონაწილეები:** ქეთევან გოჩიტაშვილი, ნინო შარაშენიძე

---

**პროექტის სახელწოდება: ქართულ-სომხური ლექსიკონი**
სომხურ-ქართული ლექსიკონი
დამფინანსებელი ორგანიზაცია: OBSE, USAID, ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველო", "ევრაზიის ფონდი".
პროექტის განხორციელების ვადები: 2003-2006 წ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: ქართულ-სომხური და სომხურ-ქართული ლექსიკონები შექმნილია ეუთოს ეუკ-ის სამცხე-ჯავახეთში კონფლიქტის აღკვეთისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში. ნაშრომების მიზანია საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ჩართვა.
ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის სახელმწიფო ენის, როგორც კომუნიკაციის უმთავრესი საშუალების, დაუფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ვიმედოვნებთ, რომ ეს ლექსიკონები დაეხმარება სომხურენოვან მოსახლეობას ქართული ენის ლექსიკური მარაგის ათვისებაში.
წიგნი უფასოდ დაურიგდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სკოლებსა და საჯარო დაწესებულებებს, აგრეთვე თბილისისა და წალკის სომხურენოვან მოსახლეობას.

**პროექტის მონაწილეები:** ქეთევან გოჩიტაშვილი, ნინო შარაშენიძე

---

**პროექტის სახელწოდება: ინტერკულტურული დიალოგის ხელშეწყობა და კვლევა საქართველოში (ხერხები, მეთოდები, მიდგომები)**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: იუნესკო
პროექტის განხორციელების ვადები: 12. 2006 – 12. 2007
პროექტის მოკლე აღწერილობა: საქართველო, კულტურული მრავალფეროვნების თვალსაზრისით, საინტერესო რეგიონია. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს თან სდევს, ერთი მხრივ, კულტურათა კონტაქტის ინტენსიფიკაცია, მეორე მხრივ, განსხვავებათა სულ უფრო მკაფიო გამოკვეთა და აღქმა. კულტურათა კონტაქტის პრობლემა ფრიად აქტუალურია მრავალეთნიკური ქვეყნებისათვის, რომელთა რიცხვს საქართველოც განეკუთვნება. ფაქტობრივად, კულტურათა დიალოგი მუდმივი და უწყვეტი პროცესია. ქვეყნის წარმატებული განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კულტურათა მშვიდობიან თანაარსებობასა და წარმატებულ ინტერკულტურულ დიალოგზე.
პროექტი მიზნად ისახავს ინტერკულტურული დიალოგის კერძო შემთხვევების კვლევასა და ანალიზს, მისი შედეგების გაცნობას სამიზნე ჯგუფებისა და სპეციალისტებისათვის, რაც ხელს შეუწყობს არსებული პრობლემებისა და შესაძლებლობების გამოვლენას და ზოგიერთი პრაქტიკული რეკომენდაციის შემუშავებას.

**პროექტის მონაწილეები:** ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ივანე წერეთელი, შოთა ხინჩაგაშვილი, მაია ქვრივიშვილი, მალხაზ თორია.

---

**პროექტის სახელწოდება: მრგვალი მაგიდა "კავკასია – ინტერკულტურული დიალოგის** პერსპექტივები"დამფინანსებელი ორგანიზაცია: იუნესკო
პროექტის განხორციელების ვადები: 2007 წ. ივნისი
პროექტის მოკლე აღწერილობა: მრგვალი მაგიდის მიზანია კავკასიის რეგიონში კულტურათა თანაარ- სებობის გამოცდილებისა და დღეისათვის არსებული პრობლემების გაანალიზება, რეგიონულ და რეგიონთაშორის დონეზე კულტურა- თა და რელიგიათა დიალოგის ხელშემწყობი პირობების განხილვა, ურთიერთობის დამყარება/განვითა- რება ინტერკულტურული და ინტერრელიგიური დიალოგის იუნესკოს კათედრებთან, რეგიონისა და საერთაშორისო მასშტაბით. მრგვალი მაგიდა ხელს შეუწყობს სამეცნიერო ინფორმაციისა და კვლევის მეთოდების ურთიერთ-გაზიარებას. გათვალისწინებულია მრგვალი მაგიდის მასალების პუბლიკაცია.

**პროექტის მონაწილეები:** ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ივანე წერეთელი, შოთა ხინჩაგაშვილი, მაია ქვრივიშვილი, მალხაზ თორია.

---

**პროექტის სახელწოდება: მცირე ერების დიდი კულტურა**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: ქართველოლოგიური სკოლის ფონდი
პროექტის განხორციელების ვადები: 2007 წ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტის მიზანია საქართველოს წარდგენა ინგლისურენოვანი მკითხველის წინაშე.

**პროექტის მონაწილეები:** ელგუჯა ხინთიბიძე

---

**პროექტის სახელწოდება: ინფორმაციის სტრუქტურების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში.**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
პროექტის განხორციელების ვადები: 2006-2009წ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: ამ სახის კვლევა პირველად ტარდება საქართველოში და ქართველური ენების მიმართ, განხორციელდება ენის ყველა დონეზე – ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ დონეებზე.

**პროექტის მონაწილეები:** ირინე მელიქიშვილი, მარიკა ჯიქია, ეთერ სოსელია, მარინე ივანიშვილი, რუსუდან ასათიანი.

---

**პროექტის სახელწოდება: ლექციები აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველო"
პროექტის განხორციელების ვადები: 2007წ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტის მიზანია სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში კონტაქტების შენარჩუნება სამეცნიერო და განათლების სფეროებში.

**პროექტის მონაწილეები:** გიორგი ანჩაბაძე

---

**პროექტის სახელწოდება: საქართველოს ეთნოგრაფია**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
პროექტის განხორციელების ვადები: 2006-2009წ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: გრანტის შედეგად შეიქმნება მონოგრაფიული ნაშრომი, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია. მონოგრაფიას ექნება როგორც სამეცნიერო ღირებულება, ასევე მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება დამხმარე სახელმძღვანელოდ.

**პროექტის მონაწილეები:** როლანდ თოფჩიშვილი, ქეთევან ხუციშვილი, თინათინ ღუდუშაური, ვაჟა კიკნაძე, ნინო ჩიქოვანი.

---

**პროექტის სახელწოდება: საქართველო და გარესამყარო**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
პროექტის განხორციელების ვადები: 2006-2009წ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტის მიზანია საქართველოს, როგორც ევროპის საინტეგრაციო ზონის მუდმივი სუბიექტის, ისტორიის წარმოჩენა დაწყებული ძვ. წ. აღ. VI საუკუნიდან დღევანდელ დღემდე. შესაბამისად, წარმოდგნილი კვლევა ინტერკულტურული ხასიათისა იქნება.

**პროექტის მონაწილეები:** თედო დუნდუა, დიმიტრი შველიძე, დიმიტრი ლეთოდიანი, გოჩა საითიძე, ბუბა კუდავა, ჯაბა სამუშია, ბონდო კუპატაძე.

**პროექტის სახელწოდება: კოლექტიური კულტურული იდენტობა რელიგიური მოქცევის კონტექსტში: ქართული მაგალითის კვლევა და განზოგადებანი**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
პროექტის განხორციელების ვადები: 2006-2008წწ
პროექტის მოკლე აღწერილობა: გრანტით გათვალისწინებული სამუშაო უკავშირდება ჰუმანიტარული კვლევების ორ აქტუალურ თემას: კოლექტიური კულტურული იდენტობების ისტორიულ განვითარებას და ერთობათა ქრისტიანიზაციის პროცესს.

**პროექტის მონაწილეები:** მარიამ ჩხარტიშვილი

---

**პროექტის სახელწოდება: მონოგრაფიის – "მეგრულის ლინგვისტური ანალიზი" – მომზადება გამოსაცემად**.
დამფინანსებელი ორგანიზაცია: საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
პროექტის განხორციელების ვადები: 2006-2009წწ
პროექტის მოკლე აღწერილობა: მონოგრაფია იქნება ვრცელ მასალაზე დაფუძნებული

**პროექტის მონაწილეები:** მაია ლომია, თაია ცხადაია

---

**პროექტის სახელწოდება: ძველქართულ-ბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
პროექტის განხორციელების ვადები: 2006-2009წწ
პროექტის მოკლე აღწერილობა: პროექტის მიზანია შეიქმნას და გამოქვეყნდეს აკადემიური დონის სპეციალიზებული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმონოლოგიის დოკუმენტირებული ორენოვანი და, ამავე დროს, განმარტებითი ლექსიკონი.
გარდა კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობისა, ამ ტიპის ლექსიკონს Dღევანდელობისათვის საჭირო პრაქტიკული დანიშნულება აქვს: იგი ხელს შეუწყობს შესაბამისი მეცნიერული დარგების განვითარებას, თანამედროვე ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის განვითარებასა და დახვეწას, ამასთან ერთად, ქართველოლოგიური მეცნიერების ფართოდ ჩართვას მსოფლიო მედიევისტიკის პრობლემების კვლევაში.

**პროექტის მონაწილეები:** დამანა მელიქიშვილი, ანა ხარანაული, გიული შაბაშვილი.

---

**პროექტის სახელწოდება: ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების საუნივერსიტეტო მოდული**
დამფინანსებელი ორგანიზაცია: ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისი
კავშირი "სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთერთობების ცენტრი"
პროექტის განხორციელების ვადები: 2007წ.
პროექტის მოკლე აღწერილობა: საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს პედაგოგთა კადრები, რომლებიც ქართულს, როგორც მეორე ენას, შეასწავლიან არაქართული სკოლის მოსწავლეებს როგორც ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი..., ისე ნებისმიერ არაქართულ სკოლაში და ენათა ცენტრებში.

**პროექტის მონაწილეები:** ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, ნინო შარაშენიძე.